

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“ დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა. ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება დაკავშირებულია „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტის დროს დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებასთან.

ა. ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიის მიერ ობიექტური გადაწყვეტილების მიღება და ამ საკითხებთან დაკავშირებული საკითხების მის მიერ განხილვა.

ა. გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, ამ საქმეს იხილავს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ. ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს რაიმე ხარჯებს.

ბ. ბ) კანონის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ. გ) კანონის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ცვლილებებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში.

ბ. დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ. ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთაა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება: კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს.

ბ. ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ. ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან: კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან.

გ. ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ. გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულები) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტთან დაკავშირებით არ არის გამოთქმული შენიშვნები.

დ. გ) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ. დ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პრეზიდენტი.